საქართველოს

თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №29

2024 წლის 8 თებერვალი

ქ. თბილისი

„ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებთან დაკავშირებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის უფლებამოსილი პირების მიერ შესადგენი დოკუმენტების ფორმების დამტკიცებისა და შევსება-წარმოების წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2024 წლის 7 თებერვლის №27 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებთან დაკავშირებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის უფლებამოსილი პირების მიერ შესადგენი დოკუმენტების ფორმების დამტკიცებისა და შევსება-წარმოების წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2024 წლის 7 თებერვლის №27 ბრძანებით (ვებგვერდი, 08/02/2024; სარეგისტრაციო კოდი: 120000000.22.026.017204) დამტკიცებულ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის (ელექტრონული) და დადგენილების ფორმების შევსების წესში (დანართი №5) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის:

ა.ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ის მოსამსახურეები, რომელთა კომპეტენციაშიც შედის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე, 45^1, 166-ე, 171^1, 194^1 (გარდა სამშენებლო საქმიანობისა), 198^1 მუხლებით, 197^1 მუხლის მე-2 ნაწილით, აგრეთვე 197^3 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;“.

ა.ბ) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს ის მოსამსახურეები, რომელთა კომპეტენციაშიც შედის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 196^1, 196^3, 196^6, 196^7, 198-ე მუხლებით, 197^1 მუხლის პირველი ნაწილით, აგრეთვე 197^3 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე.“.

ბ) მე-8 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტს, თუ ოქმი შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 197^1 მუხლის პირველი ნაწილის, აგრეთვე 197^3 პირველი ნაწილის საფუძველზე.“.

2. მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 196^1, 196^7 მუხლებით, 197^3 მუხლის პირველი ნაწილით, აგრეთვე 198-ე მუხლით გათვალისწინებული გადაცდომის შემთხვევაში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განმხილველ და ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებაზე უფლებამოსილ ორგანოს განეკუთვნება შესაბამისი ოქმის შევსებაზე უფლებამოსილი პირი.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **ჯუანშერ ბურჭულაძე**